დროება

ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 201 პარასკევი, 11 სექტემბერი 1909 წ. № 201

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 30 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხუთი ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის ზონ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან შთაგარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. შეტლ და ამს.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტიცვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდილ განცხადებები ეგზავნება «დროების» რედაქციაში და კანტორაში, ქალაქ-ოფისი, ყოველ-დღიურ-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავენ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოდამდის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ქართული თეატრი

შაბათს, 12 სექტემბერს, ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

◀ ღალატი ▶

დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. ალ. სუმბათაშვილისა. თარგ. გ. ყიფშიძისა.

ამ წარმოდგენაში დანიშნულია **ხუთი დებიუტი**

ზეინაბი—ქ. ჩირგაძე, ოთარ-ბეი—ბ. ქავთარაძე, სულეიმან-ხანი—ბ. შარაშიძე, დათო—ბ. ბახელაძე, ყარა-იუსუფი—ბ. ფურცხვანიძე.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8½ საათზე.

(3—3) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფებისი მიღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ზუთმაბათოთ მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაბით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ჩარეული **ვ. ქ. ქუთაისში.** სპეციალისტი. იღებს განსაკუთრებით **სიფილიზიდ**, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუ'ის ქუჩა, აბუსალაძის შესახვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—6)

ექიმი ვასილ წერეთელი **ქუთაისში** იღებს მინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—9)

ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **სა. შარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—წალ.—10)

ექიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს მინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, ხაშარდე ბილის, ბეტის და თირკმელების (ჯაჭვების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: გვირაბით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოგისა (70—კვ.—58)

ექიმი ქ. ქუთაისში. **ვ. დ. ბეთანოვი** აფთიაქის, N 24, და ბლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და მინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—33:—15)

ექიმი კბილისა **ს. ბურბუტაძე** ამბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დადგარი, ს. N 15. (25—6.—4)

ექიმი **მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე ვ. ბოცაძე** **დაბა ყვირილაში** მიიღებს მინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. ბედევან ჩუბინიძის ნაგრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—16)

ექიმი კბილისა ქუთაისში **ნ. ა. ფეიგინბოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლუმბერგ ბაგვაგმა, ბილის ჩასმა და პროტეზები, ბორბალის ქუჩა, სახლი N 14, ფამიდოვისა. (0—586—245)

ექიმი **კაკიტელაშვილი ქუთაისში** 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფეურიანებულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან მინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით ხნეულნი. დილით 11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—62)

კაბინეტი **ელექტრონის და რენტგენის ხამ. კურნალისა მ. ბედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. ქალაქოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ხეტა, საგუთ. სახლი, N 20, ტელ: 791. (ტ. 155)

ექიმი **ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და მინაგ. ავადმყოფებანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—წალ.—4)

ექიმი **ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთი 6—7 ს. **გვირაბ დღის გარდა.** (უ)

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 8-დან 11-მდე. ვერის N 9. (უ)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს მინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი ვერბინსკაია). (0—3)

ექიმი **კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

სამკურნალო

ეკონომთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტროთი ექიმება. მასაჟი; მიკროს., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა, ძაღლის გახანჯვა. ფასი რეკვისდვის 50 კ. ფეტრაციები და კანსულები. მეთანხმებით. ნაკადმ. განყოფილება მეხდგეგა ხაზოგ. ბალატებისა და ცალკე სოფლებისაკენ. (100—წალ.—4)

ბლოდ გასხნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

კერძოდ ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლაბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ბ. ბობოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ვ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. ვ. ბოგბარეანი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; ავრეთვე ყვავილის აცრა და ძაღლისგამანჯვა. ფასი რეკვისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (ტ.—ნ.—133)

გამოვიდა

ლუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

◀ ლექსები ▶

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების" რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების" რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

სამ აბაზად

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: **„მოთხრობები"**. (10—უ. 6)

ნაფიცი ვექილი

სერგეი დაგითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში

(ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო **„ლონდონის"** ახლოს). (25—ნ.—5)

იყიდება ყველგან ახალი

◀ ჩანგი ▶

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოდვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გაესაგზავნი ფული არ გადახდება. ფული მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობა პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорацанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—12)

გამოვიდა

და

ტფილისის საცენზორო კომიტეტში იყიდება:

სია ნებადართულ პიესებისა

ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზე.

შედგენილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ, ფასი ათი შაური. ფულის მაგიერ შეიძლება საფოსტო მარკები გამოგზავნოს. (5—4)

ქართული სექცია

ტფილისის სახალხო

უნივერსიტეტისა

ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა უნივერსიტეტის სკოლებში გაფართოებულ პროგრამით. მსურველნი შეუძლიათ ჩაეწერნენ ყოველ დღე საღამოობით (გარდა კვირისა) 6—8 ს. სკოლაში:

1. გოგოლის ქუჩა, № 42, ვაგზლის მახლობლად; 2. ვერაზე, ოლგის ქუჩა, № 32. 3. ავლაბარში, ავლაბრის ქუჩა, ქალანთაროვის სახლი. სწავლის ფული სამ თვეში ერთი მანეთი. (3—3)

ტფილისი, 11 სექტემბერი

ამ დღეებში ოფიციალურმა რუსეთმა იდღესასწაულა ფინლიანდიის შემოერთების 100 წლის იუბილეი. ფინლიანდია რუსეთის პროვინციად გახდა 1809 წელს ფრიდრიხსჰამის ზავის შემდეგ, რომელიც მოჰყვა შვეციასთან ომს და რომლის ძალითაც შვეციამ რუსეთს დაუთმო ფინლანდია. მაგრამ ცოტა უფრო ადრე შვეციის მთავრობისაგან შევიწროებული ფინლანდია თვითონ ეძებდა საშუალებას მოშორებოდა შვეციას. მთელი მეთვრამეტე საუკუნე ფინლანდიის წოდებანი ერთის მხრით იბრძოდნენ ერთმანეთში, მეორეს მხრით ებრძოდნენ შვეციის მთავრობას, რომელსაც ჰსურდა წოდებათა უპირატესობანი და თავისუფლება მოესპო და აბსოლიუტიზმი გაემეფებინა. ამ გარემოებამ გამოიწვია ფინლანდიის თავად-აზნაურობის დაახლოვება რუსეთის მთავრობასთან. შვეცია-რუსეთის ომის დროს ქალაქ ბორგოში შეიკრიბა სეიმი, რომელმაც გადასწყვიტა რუსეთთან შეერთება, თუ რუსეთის იმპერატორი აღუთქვამდა ფინლიანდიას შინაურ თავისუფლებას. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ეს პირობა მიიღო და გამოსცა მანიფესტი ფინლიანდიის რუსეთთან შეერთების შესახებ. მალე ომიც გათავდა და, როგორცა ვთქვით, შვეცია იძულებული გახდა ხელი აეღო ამ პროვინციაზე.

ამნაირად ფინლიანდია, ერთის მხრით, საქართველოსავით თავის ნებით შეუერთდა რუსეთს, მაგრამ, მეორეს მხრით, დაპყრობილ ქვეყანადაც ჩაითვლებოდა; ამ ორგვარ ხასიათის შემოერთებამ არა ერთხელ გამოიწვია არევ-დარევა რუსეთ-ფინლანდიის ურთიერთობაში.

ფინლიანდიაში მე-17 საუკუნიდან იყო შემოღებული წარმომადგენლობითი მმართველობა წოდებრივის ხასიათისა. ამ მმართველობისა და აგრეთვე ყველა ძველის კანონების დაცვა აღუთქვა ალექსანდრე პირველმა ფინლიანდიას, მაგრამ კანონი ამის შესახებ არ გამოცემულა და ამიტომ ნიკოლოზ პირველის მეფობის დროს ფინლიანდიის სეიმი ერთხელაც არ შეკრებულა. მხოლოდ იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ 1862 წელს შეკრიბა სეიმი და აღადგინა საკონსტიტუციო კანონი, რომელიც დაურღვევლად და შეუჩერებლად მოქმედებდა ალექსანდრე მესამის მეფობის პირველ ხანამდე... იმის მეოხებით, რომ ფინლიანდია გარეშე ომებიდან უზრუნველ-ყოფილი შეიქმნა და იმის შინაურ ცხოვრებაში რუსეთი თითქმის არ ერეოდა, ეს ქვეყანა მეცხრამეტე საუკუნეში გაღონიერდა ეკონომიურად და გაიზარდა კულტურულად. მისი პოლიტიკურ-ეკონომიური განვითარებაც უეცველი იყო, მაგრამ მალე შავ-ბნელ ხანამ მოუსწრო და დაუსრულებელს კრიზისში ჩაგდო.

ალექსანდრე მესამის დროის ძლიერმა რეაქციამ ხელოვნურად შეჰქმნა ფინლიანდიის საკითხი იმ განზრახვით, რომ შერჩეულ დროს სრულიად მოესპო ფინლანდიის ავტონომია და ფინლანდიაში შიდა რუსეთის წეს-წყობილება დაემკვიდრებინა. პირველად აღძრული იქმნა საკითხი ფინლანდიის მხედრობის რეფორმაზე და ამ დროიდან იწყება ამ განაპირა ქვეყნის ტანჯვა-ვაება. ფინლანდიის ხალხი და მისი წარმომადგენლობითი დაწესებულება მედგრად დაუხვდნენ ბიუროკრატიის იერიშს, მაგრამ ბოლოს ძლეულ იქმნენ და მე-20 საუკუნის დასაწყისს სეიმმა კიდევაც განუტევა სული. ქვეყანა გადვიდა სარევოლიო ბრძოლაზე, ფრიად მშვიდობიანს ხალხში ტერროროზმიც-კი გაჩნდა. მოკლულ იქმნა ფინლანდიის გენ.-გუბერნატორი ბობრიკოვი და ხალხი დდე-დღეზე უნდა აჯანყებულიყო. ამასობაში რუსეთსაც გაუჩნდა დიდი დარდი: ომი შორეულს აღმოსავლეთში, რომელსაც მოჰყვა რევოლიუცია. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ფინლანდიის ბრძოლას თავისუფლებისათვის და რუსეთის მთავრობა იძულებული გახადა არა თუ აღედგინა ძველი კონსტიტუცია, არამედ იმის განვითარება-გაუმჯობესების ნებაც დაერთო.

ფინლანდიამ სული მოითქვა და საკვირველის მხნეობით შეუდგა თავის ყოფა-ცხოვრებისა და სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობის განახლების საქმეს. შემოღებულ იქმნა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომელიც ქალებსაც-კი მიენიჭა; და შემუშავებულ იქმნა მთელი წყება სოციალურ პროექტებისა სოფლის და ქალაქის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად... მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს სადღესასწაულო ხანა: რუსეთში კვლავ გამარჯვებულმა რეაქციამ მალე ისევ გაიხსენა ფინლანდია, ისევ შეუდგა ძველ ექსპერიმენტებს და ფინლიანდიის ავტონომია კვლავ ხანგრძლივს განსაცდელში ჩავარდა...

ასეთ პირობებში მოუსწრო ფინლანდიას ასი წლის იუბილეიმ. თქმა არ უნდა, ფინლანდიის ხალხი სიხარულით ვერ მიეგებებოდა დღესასწაულს, რადგან არსებითად იგი ეხლაც იმავ ამოცანის წინაშე სდგას, რომელაც წინ ჰქონდა ამ ასი წლის წინად: როგორმე დაიცვას თავისი ისტორიული უფლებანი და სრული შინაური თავისუფლება—დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. აბსოლიუტურმა რუსეთმა ის ისტორიული გაკვეთილი მისცა, რომ ფინლანდიის სვეგედი ბეწვზე ჰკიდია: ყოველ ამაღლებულ ბიუროკრატ-ავანტიურისტს შეუძლიან ერთის კალმის მოსმით წაართვას მას ძველი უფლება. ეხლა ფინლანდია იმის მოლოდინშია, თუ როგორი იქნება მისთვის საკონსტიტუციო რუსეთი. ჯერ-ჯერობით აქედან საქმის გაუარესება უფრო სჩანს, ვიდრე გაუმჯობესება... მაგრამ ცხადია, ეს მხნე, თავისუფლების მოყვარე და თავის ეროვნულ ინტერესების მედგარი დამცველი ხალხი საკუთარ თავის იმედს არასოდეს არ დაჰკარგავს და ბოლოს გაიმარჯვებს კიდეც.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 სექტემბერი

საზღვარ-გარედ.

მაინის-ფრანკფურტი. დილის 9 საათსა და 55 წუთზე ჰაეროპლანი „ცეპელენ მესამე" დიუსელდორფისკენ გაფრინდა. ნაშუადღევის 5¼ საათზე ჰაეროპლანი „ცეპელენ მესამე" მაინის-ფრანკფურტში ჩამოეშვა.

მადრიდი. ესპანელებმა კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ აიღეს კუერტი, ტადერტა და კატელა. ესპანელებს მოუკლეს 12, დაუჭრეს 70 სალდათი. ამას გარდა დაჭრილა 2 ოფიცერი.

ტანჟერი. ესპანიის ელჩმა ელტეგასს მოსთხოვა—უკან წაიღეთ თქვენი საპროტესტო ნოტა რიფსკის ოლქში მომხდარ ამბების გამოო. ელტეგასმა ელჩს უპასუხა, არ შემიძლიან სულთნის სურვილის წინააღმდეგ წასვლა, შემდეგშიც შეიძლება მოვახერხო, რომ სულთანმა საპროტესტო ნოტის შინაარსი შესცვალოსო.

მელილია. გუშინ 9 სექტემბერს სოუბუს სიმაღლეების მხრიდან ზარაბაზნების სროლა ისმოდა. ეს სიმაღლეები ბენისიკარის თემს უჭირავს. ზარბაზნებს ესპანელები ისროდნენ.

ლონდონი. ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო კონგრესის დელეგატების პატივსაცემად ნადიმი გაიმართა. ნადიმზე, სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ. გრეიმ გულწრფელი სალამი უძღვნა დელეგატებს და სთქვა: საერთაშორისო საქმეებში ბეჭდვითი სიტყვას დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს. ბეჭდვითი სიტყვამ გზა უნდა გაუკაფოს ერების ერთმანეთთან დაახლოვებას. ბეჭდვითი სიტყვა მოვალეა იზრუნოს, რომ სახელმწიფოების უთანხმოებებმა გადამეტებული მიმდინარეობა არ მიიღონ. შეხედულებათა სხვა და სხვაობა მოისპობოდა, რომ ერებს ერთმანეთის ნდობა ჰქონოდათო.

ბუდაპეშტი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა გადადგეს. „კორესპონდენტ ბიუროს" სიტყვით მინისტრები მეფესთან იშუამდგომლობენ, რომ ახალი სამინისტრო პარლამენტის სესიის დაწყებამდე დაინიშნოს. პარლამენტის სესია 15 სექტემბერს დაიწყება.

ათინა. დილით მიწა იძრა. მიწისძვრას მცხოვრებლებისთვის დიდი ზარალი არ მიუყენებია. ამბობენ, რომ საბერძნეთის სხვა ადგილები უფრო დაზარალდნენო.

გაიფიცნენ ქალაქის რკინის გზის ყველა მოსამსახურეები.

ბულონი (პადეკალეს დეპარტამენტი). დერიუს ჰაეროპლანი ფრეინის დროს მაღლობს დაეჯახა. დერიუ თავის ჰაეროპლანით მიწაზე ჩამოვარდა. დერიუ იქვე გარდაიცვალა.

ჰააგა. გუშინ, 9 სექტემბერს, მიწა იძრა. დაინგრა რამდენიმე სახლი. მცხოვრებლები ქალაქ გარედ გავიდნენ. არავინ დაშავებულა. ამავე დღეს დილით მესინაში მცირე მიწისძვრა იყო.

ბერცენშტეინის მოკვლის საქმე.

კიუვენეპე. 9 სექტემბერს ადგილობრივმა სასამართლომ დაიწყო ბერცენშტეინის მოკვლის საქმის გარჩევა. სასამართლოში არ გამოცხადდა დუბროვინი. მის მაგივრად მოვიდნენ მისი ვექილები ბულაცელი და ზამისლოვსკი. ბერცენშტეინის ქვრივის ინტერესებს იცავს ნაფიცი ვექილი ზარუდნი, იუსკევიჩ-კრასოვსკის—ნიკიტინი. სასამართლომ ბულაცელი და ზამისლოვსკი დუბროვინის ვექილებად არ მიიღო, რადგან სასამართლოს წინანდელი დადგენილებით დუბროვინი სასამართლოში პირადად უნდა გამოცხადებულიყო. სასამართლოს ეს დადგენილება არ მოეწონა ბულაცელს და ყვირილი დაიწყო. თავმჯდომარემ პოლიციას უბრძანა, ბულაცელი გაიყვანეთო. პოლიციის მიახლოვებაზე ბულაცელმა დაიყვირა „არ გაბედოთ რუსეთის აზნაურის ხელის ხლებაო". როდესაც პოლიციელებმა ბულაცელს ხელი წაავლეს, მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია და ყვიროდა „ცოცხალი არ დაგნებდებითო". და თან ჯიბეზე ხელს ივლებდა. პოლიციელმა შენიშნა ეს და ბულაცელს ჯიბიდან რევოლვერი ამოაცალა. როგორც იყო ბულაცელი სასამართლოდან გაიყვანეს. პროკურორმა განაცხადა, უფლებას ვიტოვებ სამართალში მივცე ბულაცელი, რადგან მან წესიერება დაარღვიაო. ამის შემდეგ იუსკევიჩ-კრასოვსკიმ განაცხადა, ნება მომეცით ზამისლოვსკი ჩემი მეორე დამცველი იყოსო. სასამართლომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. სასამართლო სიტყვას აძლევს ბერცენშტეინის ქვრივის ინტერესების დამცველ ზარუდნის. ზარუდნიმ სთქვა: რადგანაც მოწმეების ჩვენებიდან გაიმოირკვა, რომ დუბროვინს მონაწილეობა მიუღია ბერცენშტეინის მკვლელობაში, რომ მკვლელობა პოლიტიკურის მიზნით იყო ჩადენილი და მკვლელობაში „ებეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრებს მიუღიათ მონაწილეობა, ამიტომ, სასამართლოს ვთხოვ დუბროვინი დაეპატიმრებინოსო. ზარუდნი ბერცენშტეინის მკვლელობაში ბრალს აგრეთვე იუსკევიჩ-კრასკოვსკის და ლარიჩკინსაც სდებს. ჩვენებას არ-თმევენ ლარიჩკინს. ლარიჩკინმა, სხვათა შორის, სთქვა: რევოლვერი და ჩაჩქანი იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ გადმომვცა, ბერცენშტეინი პოლოვნევმა მაჩვენაო. დუბროვინთან ბერცენშტეინის მკვლელობაზე ლაპარაკი არა მქონიაო. ლარიჩკინის შემდეგ გამოჰკითხეს იუსკევიჩ-კრასკოვსკის. იუსკევიჩ-კრასკოვსკი უარს არ ჰყოფს, რომ დუბროვინთან ერთან ტერიოკში დაიარებოდა, მა-

გრამ არა გერცენშტეინის მოსაკვლელად, არამედ რევოლიუციონერების თვალყურის სადევნელად. მეო, სთქვა მან, კაზანცევს ვადევნებდი თვალყურს. კაზანცევს ტრეპოვის მოკვლა უნდოდა. გერცენშტეინის მკვლელობა გაზეთებიდან გავიგე; გავიგე, რომ გერცენშტეინი კაზანცევს მოეკლა; მასვე ფედოროვის შემწეობით წუთის სოფელს

გამოესალმებინა იოლოსი. კადეტები ხმას ავრცელებენ, ვითომ კაზანცევი „ეშმარიტ რუსთა კავშირის“ სამხედრო ორგანიზაციის წევრი ყოფილიყოს. ამით, რა თქმა უნდა, მათ უნდათ მთავრობას შეგვაძულონ. კაზანცევი სოციალ-დემოკრატიიყო. ლარიჩკინი მატყუარა და ტრაბახაა, მისი ჩვენება ყალბია, მას არაფერი დაეჯერებაო. კითხულობენ პოლიციის ცნობას ლარიჩკინის შესახებ. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ლარიჩკინი ერთ დროს ქურდობისთვის სამართალში ყოფილა მიცემული. იუსკევიჩ-კრასოვსკის ვექილი შუამდგომლობს ლარიჩკინს საქმე ცალკე გამოიყოს, რადგან მისი ჩვენება ულსაფუძვლოა, მთელი საქმე კი მის ჩვენებაზეა აგებულიო. ამას გარდა ნიკიტინი თხოულობს დუბროვინის საქმე გამოიყოს, რადგან მას როგორც გამოირკვა, საქმე რუსეთის ტერიტორიაზე ჩაუდენიაო. სასამართლომ არც ერთი შუამდგომლობა არ შეიწყნარა. სასამართლოს შემდეგი სხდომა 10 აგვისტოსთვის მოხდება.

რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი. გაფრინდა ჰაეროპლანი „ლებედი“. „ლებედმა“ საათი და 10 წუთი იფრინა. ჰაეროპლანი 30 მეტრის სიმაღლეზე ავიდა.

ტობოლსკი. კურგანში პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულების საიდუმლო ქარხანა. პოლიციამ წაიღო 731 მანეთი. დაუპატიმრეს იმ სახლის პატრონი, რომელშიაც ქარხანა იყო მოწყობილი.

ასტრახანი. სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს ქალაქის თავი ინჟენერ-ტექნოლოგი პლოტნიკოვი.

პოლტავა. თავი მოიკლა კამენეცკის მე-173 პოლკის უფროსმა პოლკოვნიკმა დოროგოკუპლამ.

პეტერბურგი. ღამე ნევსკი პროსპექტზე გაძარცვეს გრახის მაღაზია. წაიღეს 10,000 მანეთის სარგებლიანი ქაღალდები. ჩამოინგრა კეკკის ქუჩა-სართულიანი სახლი. დაშავდა 8 კაცი.

ტამბოვი. 8 სექტემბერს ნაშუადღევის 5 საათზე, სადგურ ბორისოგლებსკსა და ვრაბანოვკას შუა ოთხმა ბოროტ-განმზრახველმა მოჰკლა ჩრდილოეთ ბანკის მეარატელე და გლეხი, დასჭრეს ერთი გლეხი, წაიღეს 22,700 მანეთი.

ჩერნიგოვი. სოფელ პესკში გადაიწვა 62 სახლი და წლევანდელი მოსავალი.

კურსკი. ალექსანდროვკაში გადაიწვა 85 სახლი. ხარალი 87,000 მანეთს უდრის.

სიმფეროპოლი. კარასუბაზარში, რომელიმე შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა კირიეევის სახლს. მოკლულია სახლის პატრონი. დაუპატიმრეს ორი ბოროტ-განმზრახველი.

სათეატრო შენიშვნები და სურვილები

3

ქართული დიეცია.

(დასასრული *).

ჩვენში რამდენი ჭრიანელია, იმდენი სხვა და სხვა კიდო-ვაფა, მაშასადამე, იმდენი სხვა და სხვა დიქცია: ქართული მდარედ, მაგრამ შეეთრად მოსაბაბს ჰგავს თვის ძკვრით: იმერულს კი თითქო კაუკეკია და კუბამს ერთ კიდეზე თავისი სათქმელი; მთიულ კბილს უჭერს, მისი ბგერა ჩაგუბებულია და, თუმცა ძლიერია, მაინც ერუა, როგორცთაც მის აუმბერაზ თავთ შორის გამოცემული ხმა; გურული კი ან მეტის მეტად ცქვიტობს და ჰეფაპავს მარცვლებს, ან მეტის-მეტი პაუსით, გადაბრუხთ „უბრობს“.

ჩემის აზრით, ეველა ამოკან უნდა ჩამოსხმულ იქმნას ერთი ფმინდა და გასწვეწილი ქართული დიქცია. იგი უნდა შესდგებოდეს ეველა პროვინციის შერწეულ და სუფრა ბგერათაგან, მაგრამ თავთ თვისით კი წარმოადგენდეს ერთს, განსხვავებულს თეველ ხოლო მოაკარს ტოო, ჩემის აზრით, მაინეა და მაინც უნდა მიხნეულ იქმნას ქართველური კიდო, რადგან მას—მე მგონია—სხვა ეველაზე მეტი სასარი აქვს ხმის დაბრის თუ ამოდეებისა, მეტი შესაკადობაც შესდგამს და მეტი პაუსიც. ეველა ეს ტანდენციები ქართველურის კოდოსი ზედ-გამოჭრილია სცენის ზე-ეველობისთვისაც და ამიტომ უნდა გახდეს იგი თავარ ძარდად ქართულის დიქციისა.

ესეთი გასვეწილი, პროვინციალიზმს ჩამოშორებული დიქცია, ხომ თვით გასვეწილ ლიტერატურულ ქართულის დამსურათებელი იქმნება და ამიტომ არ უნდა დაეეიეწეთ, რომ დიქციის დიდ და დიდი დამოკიდებულება აქვს მწერლის ნაწარმოებთან.

*) იხ. „დროება“. N 200.

თვით ნაწარმოები უნდა ქმნიდეს მუსიკალურს და სწორ-უტყუარს დიქციას თავის ენისას. მწერალს, სხვა ლიტერატურებთან ერთად, ოიტშესი არ იყოს, უნდა ჰქონდეს „სინიდისი ეურებში“. მწერალი, განსაკუთრებით სატეეა-კაზმულ ნაწარმოებთა მოხსენელი, თავის ნაწერების ხმა-ძალა უნდა კითხულობდეს, სანამ გაბეჭდავდეს მას, მაგრამ, ეკი, რომ სკოლაში ამისას არას გეასწავლიან, ოჯახში ამისათვის არ გეამზადებენ და საზოგადოებაც ამისათვის ეერა ბეკერონის. ამიტომაცაა დექსს თუ ეკეთესულობა—ემდერი, ბრაზას თუ ედაბარკოთ—სხვაგნურ დიქციაზე „ეთარგნით“.

დიდი მნიშვნელობა აქვს დიქციის ხელის შეწყობაში, განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისთვის, მწერლის მართალ-ეერას. აკი, სუბედურად და საეადოდ, არც ეს გეაქვს გარეკეული და ერთ ეადაზე ჩამასხმული. ბევრ-ეზის ადუნიშნავთ, რომ ჩვენში რამდენი მეერალია, იმდენი მართალ-ეერა არსებობს, იმიტომაც ხშირად **მართლ-მორწმუნე** მსახიობმა არ იცის, რა ეზას დადგეს. მაგალითად, რომელს მისცეს უპირატესობა ამ ორს გამოსატყვანებში:

მოჰკალ! თუ **მოკალი!**

მე რომ მეკითხოს კაცმა, პირველს ვირჩეედი, თუმცა იმავე დროს დიდი მომხრე ვარ მართლის მარ-თლ-ეერისა, მაგრამ ეს სულ სხვა მიზეზით. პირველს კი მიტომ ვირჩეედი, რომ ეს ბერე უსდება სასტენო დიქციას. აბა კრეა დაუკვირდით: **მოჰკალ!**—თითქო პირი ბეკემსოთ და მთელი ჰაერი ძლიერ ბეერის გამოსცემად განმზადდა, ამ „ჰ“-მ მაინც უშეედებელი რიხი შემოგთავაზოთ, რომ ეს მეკეთრი სიტეეა დრსეეულის ხოქითა და ზეიმით ეერმოსთქვათ. **მოკალი!** — რაკრრი უფერეული პირეულთან შედარებით, თითქო ფრთეა მოკეტლილი, კეუდავი, თითქო ქურდულად გადასრიალდა მსმენელის მეგნეანზე და მაშასადამე, ვერ მოახდინა პირველის ბეერი სათანადო მოკეედდება.

რამდენია ამისთანა მაგალითი!

მაინც და მაინც მეგონი არც ისე დიდი განსხვავება იქმნებოდა, რომ ეთავეებინა რომელსმე ჩვენ სახოგადოებას ან დრამატიულს, ან ეერა-კითხვისს, ან სიტეეა-კაზმულ მეერდობისს და ამ სიტეის შესასწავლად და გამოსარკვევად შემოეკრიბა მცოდნე პირები: დინგვისტები, დიტერატორები, არტისტები, პედაგოგები, მოძღვრები-მქადაგებლები), მაშინ მიიღების ახალი petitio principii, რომლის ასაცდენათ იმავ მოაზრებათ უნდა მივმართოთ, და ესე ვიდრე უსაზღვრობამდე“ (იხ. ხსენებული გამოკვლევა).

კონცეპტუალისტური თეორიის სახსნელად მოჰყავთ ჩვეულებრივ შემდეგი მოსაზრება. შესაძლოა საგანთა შორის ელემენტნი ამგვარ არსებობდნენ: შინაარსით ერთნაირნი, ხოლო რიცხვით სხვაგვებულნი; ამ შემთხვევაში ისინი ერთი და იგივენი არ არიან,—და, საგნები „ერთი“ „მრავალში“ არ ისახვება. ეს თუ ასეა, მაშინ, რასაკვირველია, ზემო-ხსენებული გზით (შედარება, განყენება, განზოგადება) შესაძლებელია ზოგად ცნებათა წარმოშობვის ახსნა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს ასე არ არის. იქ, სადაც ერთნაირობაა, იქ უთუოდ იგივეობაცაა. ამას ამტკიცებს თანამედროვე ძიებანი ლოგიურ კითხვებში. საინტერესოა ამ მხრივ Hussel-ი, რომელიც თავის „Logische Untersuchungen“-ში (ლოგიური კვლევანი) სრულებით არღვევს კონცეპტუალისტების ხსენებულ მოსაზრებას. მისი აზრი ამგვარია. ჩვენ არ შეგვიძლია ორ საგანს ვუწოდოთ ერთნაირნი, თუ მაშინვე არ ვუჩვენეთ ის მხარე, რომლითაც ისინი ერთნაირნი არიან; ამ მხარეში კი იგივეობა იმალება. ყოველი ერთნაირობა ძიიქცევის გვარისადმი, რომელსაც ექვემდებარებიან შესადარნი საგანნი. ხოლო იგი გვარი არ არის რაღაც ორი მხრით ერთნაირი: ეს რომ ასე იყოს, მაშინ წარმოსდგებოდა წინააღმდეგობით სავსე regressus in infinitum (რეგრესი უსაზღვროებაში). ვუჩვენებთ რა გვარში იმ მხარეს, რომლითაც ორი შესადარი საგანი ერთნაირ არიან, ჩვენ ერთი მხრით აღმოვაჩენთ მათში მსხვავებელ ნიშნებს, მეორე მხრით კი ერთსა და იგივე ელემენტებს. ავიღოთ მაგალითები. თუ ორი საგანი ერთნაირ არიან ფორმის მხრით, მაშინ თანაბარი გვარი ფორმისა ერთი და იგივე ელემენტია მათში; თუ კი ისინი ერთნაირ არიან ფერის მხრით, მაშინ ფერის გვარი ერთი და იგივეა მათში. ასეთია ერთნაირობა და იგივეობა: იგივეობა ჰქმნის ერთნაირობასა: ის მხარე, რომლითაც სჩნდება ერთნაირობა, გვარის იგივეობაა, და რომ უკანასკნელი არ იყოს, მაშინ არც პირველი იქნებოდა.

ეს არის Nussere-ის აზრი, რომელსაც ლოსსკიც კონცეპტუალისტების წინააღმდეგ ემყარება, ხოლო ლოსსკი ჰუსსერლს სხვა მხრივაც იყენებს. იგი იღებს ჰუსსერლის არგუმენტაციას, მიმართულს იუმის თეორიის წინააღმდეგ შესახებ საგანთა ნიშნების გარჩევისა, და მის ანალოგიურად არღვევს კონცეპტუალიზმის თეორიასა. საგანთა მსგავსებიდან ყოველად შეუძლებელია გამოვიყვანოთ ზოგად ცნებათა წარმოშობვა,—ამტკიცებს იგი. ყოველი საგანი ემზგავსება მრავალს საგანს სხვა-და-სხვა მხრივ. მივიღოთ მაგალითად, რომ საგანი a ემზგავსება საგნებს: b, c, d-ს ერთი მხრით და მეორით: n, e, m-ს; ასე რომ a, b, c, და d ერთს კლასს შეადგენენ და a, n, e და m მეორესა. პირველ შემთხვევაში a-ს ჩვენ ვაკუგებდებ და ზოგიერთი ჩვენი ორატორებიც. ვურავინ იტყვის, რომ ეს საკითხიც მოგზიფებული არ იყოს... ჩვენი სცენისათვის მაინც.

ზალვა დადიანი.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **გლეხების გადმოსახლება.** ამ რამდენიმე ხნის წინად ლეჩხუმიდან ტფილისში ჩამოვიდა ორი გლეხი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, მოეკლოთ ტფილისის გუბერნია და სადმე სასყიდლად თავისუფალი ადგილები მოენახათ. სოფლელები მეტად გაჭირვებულნი ყოფილან უმიწა-წყლობით. თითონ იმდენი არა აქვს თურმე, რომ ორი სამი თვის სარჩო მოიყვანონ და არც ახლო-მახლო მოიპოვება საიჯარო ადგილები. გლეხებმა მოიარეს კახეთი, ლაგოდეხის ნაწილი, შირაქი და დაბრუნდნენ ტფილისში. გლეხებს ერთი ადგილი მოსწონებიათ და უკვე შესდგომიან ზრუნვას მის შესაძენად. გადმოსახლება გადაუწყვეტია სამოცამდე გლეხს.

✦ **უადგილობით გაჭირვებულთა თხოვნა.** სოლნალის გუბერნიაში მდებარეობს სოფელი ჯოტორი, საიდაც 120 კომლამდე გლეხობა სცხოვრობს, რომელნიც სოლნალის მოქალაქეებად ჩაუწერიათ. ჯოტორელებმა ამ დღეებში თხოვნით მიმართეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ბ-ნ ჩხეიძეს. ჯოტორელები სწერენ, რომ 1857 წლიდან დიდ გაჭირვებაში ვართ უმიწა-წყლობის გამო, საკუთრება სულ არ გვაქვს და ამიტომ იძულებულნი ვართ იჯარით ავიღოთ ხოლმე 800 დესიატინა საბნავი მიწა. მეამულენი და განსაკუთრებით ჩარჩები-კი დიდ საიჯარო ფასს გვახდევინებენ. ჯოტოროლებს ამას წინად ადმინისტრაციისათვის უთხოვნიათ სახელმწიფო მიწები, მაგრამ უარი მიუღიათ. ეხლა ჯოტორლები ჩხეიძეს სთხოვენ, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მათ მიეცეთ სოლნალის მაზრაში სადმე სახელმწიფო ადგილი.

✦ **ქართველ ებრაელების სამლოცველო.** ქართველ ებრაელთ თავიანთ სამლოცველოს დამთავრება ტფილისში ძალიან უჭირდებათ, რადგან ასეთ უზარმაზარ შენობას დიდი ფული უნდა. შენობა ლამაზი და საყურადღებოა. გარედან შენობა დაამთავრეს, მხოლოდ შინაგანი მოწყობილება აკლია. უნდა ააგონ აგრეთვე სკოლის შენობაც, რისთვისაც ქართველ ებრაელნი თავიანთ მერჯულეთაგან მოელიან დახმარებას. ეს დიდი შენობა მთლად ქართველ ებრაელთა წვლილით არის ნაშენი. ევროპიდან ან რუსეთიდან მასუელ ებრაელებს ამათთან კავშირი და მისვლა-მოსვლა არა აქვთ. მოსულ ებრაელებს ტფილისში ორი სინაგოგა აქვთ, მაგრამ ქართველი ებრაელები მაინც საკუთარ სინაგოგას აგებენ.

✦ **დრამ. საზოგად. გამგეობის სხდომა.** დღეს, 11 სექტემბერს, საღამოსთვის დანიშნულია სხდომა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა, რომელმაც უნდა განიხილოს რამდენიმე საკითხი დრამატიულ დასის მოწვევისა და ქართულ წარმოდგენების სეზონის დაწყების შესახებ.

✦ **სიტყვების გამოცემა.** ამ ორი წლის წინად, ალექსანდრე ეპისკოპოსის დასაფლავებაზე წარმოთქმა 26 სიტყვა. დაიბეჭდა მაშინ სამი სიტყვა. ორი სიტყვა „მწყემსში“ და ერთი „ზაკავკაზ.“-ში რუსულად. ეხლა ყველა ეს სიტყვები ერთად შეუკრეფია ბ-ნ ზ. ჯიბინაძეს და ცალკე წიგნად აპირებს დაბეჭდვას. ამიტომ გამომცემელი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თუ განსვენებულის ეპისკოპოსის შესახებ ვისმეს რამე მასალა აქვს, დროებით დაუთმოს და გაუგზავნოს ეს მასალა აღნიშნულს წიგნში დასაბეჭდად. დაბეჭდვის შემდეგ წერილები ისევ პატრონებს დაუბრუნდებათ, თუ კი მათთვის საჭირო იქნება. ადრესი: მეორე თუმანოვის ქუჩა, № 32.

✦ **ქართული გაზეთები ქუთაისში.** ქუთაისში ამ ჟამად ორი ქართული გაზეთი გამოდის—ყოველ-კვირეული „ფონი“ და „ვარსკვლავი“, რომელიც კვირაში ორჯელ გამოდის. „ვარსკვლავი“ წინად ყოველ-დღე გამოდიოდა, მერე, ორი კვირის შემდეგ, დაიხურა, როგორც ამბობენ, უსახსრობით და ეხლა კვლავ განახლებულა.

✦ **სასაფლაო.** ტფ. გერმანელთა სასაფლაო 1818 წ. არის დაარსებული. მას შემდეგ სულ ამ ვიწრო ადგილას ასაფლავებენ ლიუტერანებს. სასაფლაოს გარშემო სახლები აკრავს, თვით სასაფლაოც კარგა ხანია სავსეა მიცვალებულებით, ეხლა ადგილი ვერ ეძებენ ერთს რომ ასაფლავებენ. წინანდელ დასაფლავებულნი შეელებნ ითხოვენ—გარდა ამისა, სხვაფრივადაც უხერხულია ეს სასაფლაო, ამიტომ ახლო-მახლო მცხოვრებნი ყურადღების მიპყრობას ითხოვენ. ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ზაფხულში ამ სასაფლაოს გარშემო სხვა და სხვანაირი საყმაწვილო სენი ჩნდება და მუსრს აკლებს ბავშვებს.

✦ **ცეცხლი.** როგორც ეკატერინოდარიდან (ყუბანის ოლქი) გვატყობინებენ, „ჩერნომორსკის ამხანაგობის“ ერთ ნავთიან ადგილს 2 სექტემბერს ცეცხლი გასჩენია. ცეცხლის წაკიდებამდე ამ ადგილას დიდი, 30 საჟენის სიმაღლის შადრევანს ამოუხეთქია. ცეცხლს გარეშე-მო ყველაფერი გადაუწვავს. მთელი ერთი კვირის განმავლობაში ცეცხლი უკიდია ნავთს, მაგრამ ჩაქრობა ვერ მოუხერხებიათ, რადგან საშინელ სიცხის გამო ახლო ვერავინ უდგება თურმე.

✦ **წარმომადგენელნი.** გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. ქალაქის თავს, ქალაქის საბჭომ კერძო თათბირზე აირჩიოს ორი წარმომადგენელი საგუბერნიო საერობო სათათბიროსთვის და ქალაქის 4 წარმომადგენელი იმ საკითხის დროს სათათბიროში მონაწილეობის მისაღებად, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქალაქებს ერობებთან.

✦ **სომხური თეატრი.** სომეხ-ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს განუზრახავს საკუთარ სომხურ თეატრის აგება იქ, სადაც სომეხთა სემინარიის ძველი შენობაა იარმუკაში. როგორც ვიცით, სემინარიისთვის ნაღიროვისეულ მამულში ახალ შენობას აგებენ. ამ რიგად, ძველი გაუქმდება. ხსენებულ ჯგუფს აზრადა აქვს მოლაპარაკება გამართოს სემინარის სამზრუნველო საბჭოსთან, დაუთმოს საჭირო ადგილი თეატრისთვის.

✦ **ოსური სკოლა.** სახალხო უნივერსიტეტის ოსური სექციის სკოლა გაიხსნება 15 სექტემბერს. მოწაფეების ჩაწერა მჭიდლება კუკიის სკოლაში (ავჭალის ქ.) ნაშუადღევის 5—7 საათზე. ამ სკოლაში მიიღებენ მოზრდილთაც. სწავლა საღამოობით იქნება. კარგს იზამენ დამქირავებელნი, რომ თავიანთ მოსამსახურეთ გაანთავისუფლებენ ამ საათებს.

იდეა ნაცნობისა

(ფილოსოფიური ესკიზი)

2.*)

ავიღოთ ეხლა მეორე თეორია, რომელიც სხვა გზით უარჰყოფს ეროვნებასა. ამ თეორიას ეწოდება კონცეპტუალიზმი, იგი არ ამტკიცებს, რომ არ არსებობს არც ზოგადი საგანი და არც ზოგადი ცნება. იგი ამტკიცებს მხოლოდ, რომ ზოგადი ცნება არსებობს და ზოგადი საგანი კი არა. ერთეულნი საგანნი, დროით დაცილებულნი და სივრცით განცალკევებულნი, ადამიანის აზრში ერთ ცნებად ზოგადდებიან. რაც რომ სინამდვილეში მრავალია, იგი აზრში ერთად იქცევა,—აი მთავარი დებულება კონცეპტუალიზმისა. ავიღოთ მაგალითად „სახლი“, ზოგადი სახლი არ არსებობს: არსებობენ დროითა და სივრცით განცალკევებულნი სახლები. ხოლო ამ მრავალ განცალკევებულ სახლთაგან ჩვენს აზრში წარმოიშვის ერთი ზოგადი ცნება „სახლი“. და აი, როგორ: ყოველს სახლს, რა გვარიც უნდა იყოს იგი, აქვს კარები, ფანჯრები, ჭერი, სახურავი და სხვა, რაც რომ სახლებს ერთი-მეორეში არჩევს, მას ჩვენ ეკუვაგდებთ; რაც კი მათ საერთო აქვთ, როგორც, მაგალითად: კარი, ფანჯარა, ჭერი, სახურავი და სხვა, მას ჩვენ განვაყენებთ, ვაზოგადებთ და ბოლოს ერთადა ვხდით: მრავალ სახლთაგან იშვა ერთი სახლი, განცალკევებულ საგანთაგან ერთი ზოგადი ცნება. და ასე—შესახებ ყოველის საგანისა და მოვლენისა. ეროვნებაც უბრალო ზოგადი ცნებაა, მას სინამდვილეში არავითარი რეალობა არ უდრის. არსებობს, მაგალითად, ზოგადი ცნება „ქართველი“ და არა ზოგადი მოვლენა „ქართველი“; არსებობს ზოგადი სხეული „ერი“; არსებობს ზოგადი ცნება „კაცობრიობა“ და არა ზოგადი ორგანიზმი „კაცობრიობა“. ასეთია თეორია კონცეპტუალიზმისა.

ეს თეორიაც ყალბია. იგი ზოგადის ცნების წარმოშობვას ხსნის საგანთა საერთო ნაწილების განყენებით, გაზოგადებით და გაერთიანებით, მაგრამ ვიკითხოთ: განა, ეს საერთო ნაწილნი თვითონ ზოგად ცნებებს არ წარმოადგენენ? განა, კარი, ფანჯარა, ჭერი, სახურავი და სხვა, რომელთა განყენებით, გაზოგადებით და გაერთიანებით ვითომ ზოგადი ცნება „სახლი“ იქმნის, განა თვითონ ისინი ზოგად ცნებათ არ ეკუთვნიან? და მართლაც, ამ შემთხვევაში ზოგად ცნებას „სახლი“ ჩვენ ვხსნით ზოგად ცნებათა (კარი, ფანჯარა, ჭერი, სახურავი და სხვ.) შეგროვებით: ერთს უცნობს ვხსნით მეორე უცნობით. სამართლიანად ამბობს ნ. ლოსსკი: „ეს ახსნა (ესე იგი კონცეპტუალისტური. გ. ტ.) შეიცავს petitio principi-ის, და თუ მის ასაცდენათ ვიწყეთ სახურავის, ფანჯარის და სხვ. ზოგად წარმოდგენათა წარმოშობის იმავე გზით ახსნა (შედარება, განყენება, განზოგადება), მაშინ მიიღების ახალი petitio principii, რომლის ასაცდენათ იმავ მოაზრებათ უნდა მივმართოთ, და ესე ვიდრე უსაზღვრობამდე“ (იხ. ხსენებული გამოკვლევა).

კონცეპტუალისტური თეორიის სახსნელად მოჰყავთ ჩვეულებრივ შემდეგი მოსაზრება. შესაძლოა საგანთა შორის ელემენტნი ამგვარ არსებობდნენ: შინაარსით ერთნაირნი, ხოლო რიცხვით სხვაგვებულნი; ამ შემთხვევაში ისინი ერთი და იგივენი არ არიან,—და, საგნები „ერთი“ „მრავალში“ არ ისახვება. ეს თუ ასეა, მაშინ, რასაკვირველია, ზემო-ხსენებული გზით (შედარება, განყენება, განზოგადება) შესაძლებელია ზოგად ცნებათა წარმოშობვის ახსნა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს ასე არ არის. იქ, სადაც ერთნაირობაა, იქ უთუოდ იგივეობაცაა. ამას ამტკიცებს თანამედროვე ძიებანი ლოგიურ კითხვებში. საინტერესოა ამ მხრივ Hussel-ი, რომელიც თავის „Logische Untersuchungen“-ში (ლოგიური კვლევანი) სრულებით არღვევს კონცეპტუალისტების ხსენებულ მოსაზრებას. მისი აზრი ამგვარია. ჩვენ არ შეგვიძლია ორ საგანს ვუწოდოთ ერთნაირნი, თუ მაშინვე არ ვუჩვენეთ ის მხარე, რომლითაც ისინი ერთნაირნი არიან; ამ მხარეში კი იგივეობა იმალება. ყოველი ერთნაირობა ძიიქცევის გვარისადმი, რომელსაც ექვემდებარებიან შესადარნი საგანნი. ხოლო იგი გვარი არ არის რაღაც ორი მხრით ერთნაირი: ეს რომ ასე იყოს, მაშინ წარმოსდგებოდა წინააღმდეგობით სავსე regressus in infinitum (რეგრესი უსაზღვროებაში). ვუჩვენებთ რა გვარში იმ მხარეს, რომლითაც ორი შესადარი საგანი ერთნაირ არიან, ჩვენ ერთი მხრით აღმოვაჩენთ მათში მსხვავებელ ნიშნებს, მეორე მხრით კი ერთსა და იგივე ელემენტებს. ავიღოთ მაგალითები. თუ ორი საგანი ერთნაირ არიან ფორმის მხრით, მაშინ თანაბარი გვარი ფორმისა ერთი და იგივე ელემენტია მათში; თუ კი ისინი ერთნაირ არიან ფერის მხრით, მაშინ ფერის გვარი ერთი და იგივეა მათში. ასეთია ერთნაირობა და იგივეობა: იგივეობა ჰქმნის ერთნაირობასა: ის მხარე, რომლითაც სჩნდება ერთნაირობა, გვარის იგივეობაა, და რომ უკანასკნელი არ იყოს, მაშინ არც პირველი იქნებოდა.

ეს არის Nussere-ის აზრი, რომელსაც ლოსსკიც კონცეპტუალისტების წინააღმდეგ ემყარება, ხოლო ლოსსკი ჰუსსერლს სხვა მხრივაც იყენებს. იგი იღებს ჰუსსერლის არგუმენტაციას, მიმართულს იუმის თეორიის წინააღმდეგ შესახებ საგანთა ნიშნების გარჩევისა, და მის ანალოგიურად არღვევს კონცეპტუალიზმის თეორიასა. საგანთა მსგავსებიდან ყოველად შეუძლებელია გამოვიყვანოთ ზოგად ცნებათა წარმოშობვა,—ამტკიცებს იგი. ყოველი საგანი ემზგავსება მრავალს საგანს სხვა-და-სხვა მხრივ. მივიღოთ მაგალითად, რომ საგანი a ემზგავსება საგნებს: b, c, d-ს ერთი მხრით და მეორით: n, e, m-ს; ასე რომ a, b, c, და d ერთს კლასს შეადგენენ და a, n, e და m მეორესა. პირველ შემთხვევაში a-ს ჩვენ ვაკუთვნით პირველ კლასსა და მეორეში მეორეს. ამ მიკუთვნის დროს ჩვენ უთუოდ უნდა ვარჩევდეთ ორ რკალს მსგავსებისას, ესე იგი, უკვე უნდა გვქონდეს მზგავსებათა კლასსიფიკაცია. აქ კითხვა იბადება: რით მივიღეთ ეს კლასსიფიკაცია? ამ კითხვის გადასაწყვეტად თუ ისევ მზგავსებას მივმართეთ, მაშინ პრობლემა წინ წაიწევს და არ აიხსნება; თუ კი იგივეობას მივმართეთ, მაშინ პრობლემა აიხსნება, მაგრამ კონცეპტუალიზმი უარყოფილ იქნება.

ერთი სიტყვით, რომელი მხარეც უნდა ავიღოთ კონცეპტუალიზმისა, იგი ყოველ მხრივ მცდარია, და, მაშასადამე, ყალბია ის თეორიაც, რომელიც ეროვნების განსაზღვრის დროს კონცეპტუალიზმს ემყარება.

3.

დაგვრჩა თეორია რეალიზმისა, რომელიც ერთად ერთი სწონს ეროვნების რეალობას. მისი მთავარი დებულება შემდეგია. სინამდვილეში საგანნი დროით დაცილებულნი არიან და სივრცით განცალკევებულნი. მაგრამ ეს დაცილება და განცალკევება არ არიან აბსოლუტურნი: პირიქით, დაცილებულსა და განცალკევებულ საგნებში იმყოფებიან ერთიდაიგივე ელემენტები, და რამდენათ მათში იგივეობა ისახება, იმდენათ ისინი ერთს ზოგადს საკანს წარმოადგენენ სინამდვილეშიც და აზროვნებაშიც. არსებობს ინდივიდი,—არსებობს საზოგადოებაც; არსებობს ადამიანი,—არსებობს კაცობრიობაც; არსებობს ერის წევრი,—არსებობს ეროვნებაც.

რეალიზმის თეორიას პირველად ფსიხოლოგიური დაბრკოლება ეღობება წინ. რეალიზმის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ზოგადი საგნის იდეის წარმოდგენა ყოველად შეუძლებელია. Berkley ამტკიცებს, მაგალითად, რომ სამკუთხედის ზოგად იდეაში გააზრება ჩვენს ნიკს ალემატება: რადგან ამ შემთხვევაში სამკუთხედი უნდა გვეაზრა არც როგორც მახვილკუთხიანი, მაგრამ არც როგორც სწორკუთხიანი, არც როგორც თანასწორგვერდიანი, არც როგორც თანასწორფერდიანი, მაგრამ არც როგორც სხვა-და-სხვა გვერდიანი, არამედ როგორც მქონები ყველა ამ თვისებისა და იმავე დროს არც ერთის ამ თვისებისა. პირველი შეხედვით ეს ფაქტი სრულებით არღვევს რეალიზმის თეორიასა. მაგრამ მხოლოდ პირველი შეხედვით. თუ ჩავკვირდით, ვსცნობთ უთუოდ, რომ მასში ორი მომენტია არეული ერთიმეორეში: ფსიხოლოგიური და ფორმალოლოგიური. ფსიხოლოგიურათ ყოველი სამკუთხედი ინდივიდუალია: იგი არის ან სწორკუთხიანი, ან მახვილკუთხიანი და ან ბლაგვკუთხიანი. ფორმალოლოგიურად სამკუთხედი მხოლოდ სამკუთხიანია და სხვა არაფერი: აქ **სამი** კუთხის იდეის მეტი არა შედის რა; თუ როგორი შეიძლება იყოს მისი კუთხე, ეს სხვა კითხვაა. ეს არევ-დარევა ხდება იმ ფსიხოლოგიური ფაქტის გამო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სამკუთხედი წარმოვიდგინოთ ისე, რომ უეცრივ მისმა კუთხეებმა რაიმე ინდივიდუალი სახე არ მიიღონ; ან

ფლებდნენ ორი საათით დღეში სკოლაში წასასვლელად.

◆ მეორე კორპუსის უფროსი. კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსად, გენ. შუვაევის ნაცვლად, რომელიც მთავარ ინტენდანტად გადაიყვანეს, ნიშნავენ კავკასიის საკავალერიო დივიზიის უფროსს გენ. ნ. ა. ვილლაშოვს.

◆ ახალი წიგნაკები. რედაქციამ მიიღო ორი ახალი წიგნაკი თხზულებანი ნ. აზიანისა (დონდაროვისა): „ვაი კალმისაგან“, ერთ მოქმედებიანი კომედია და „ხან ასე და ხან ისე“, სცენები რრიორ სურათად. თითო წიგნაკი ორ-ორ შაურად ღირს. ორივე წიგნაკი ალ. კალანდაძის წიგნის მაღაზიის გამოცემაა.

◆ გიმნაზია თელავში. როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, აგერ ერთი წელიწადია, კახეთი მეცადინეობს დაიარსოს თელავში გიმნაზია. ისიც იციან მკითხველებმა, რომ შუამდგომლობა ამის შესახებ ჯერ ქალაქმა თელავმა აღძრა, მერე თელავმა და თავად-აზნაურობამ ერთად. ეხლა კიდევ ჩამოუგზავნიათ არჩეული კაცები ნებართვის ასაღებად. ჯერ არ ვიცით, რა გაარიგეს არჩეულმა კაცებმა ანრა პასუხი მიიღეს, მხოლოდ გასაკვირველი-კა იქნება, რომ ისეთ დიდ კუთხეს, როგორიც არის უგზოობით მოწყვეტილი კახეთი (რომელშიაც სამი მაზრა—სიღნაღისა, თელავისა და თიანეთისა შედის), უარი უთხრან გიმნაზიის დაარსებაზე. მთელ ზემოხსენებულ სამ მაზრაში დღეს არ არსებობს არც ერთი საშუალო სასწავლებელი—არც ვაჟებისა და არც ქალებისა.

◆ შრომის ბირჟა. ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა შრომის ბირჟის გამგის მოხსენება იმის შესახებ, რომ ბირჟას უფლება მიეცეს იმ პირებისათვისაც შოვოს სამუშაო, რომელნიც პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობენ. ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო ბირჟის მოქმედების გაფართოება და დადგინა, სთხოვოს საბჭოს, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა. იმავე სხდომაზე გამგეობამ განიხილა ბირჟის გამგის მეორე მოხსენება, რომ მუშაოა ბაზარი გადატანილ იქნეს შუაბაზრიდან ვერის მოედანზე. გამგეობამ მიანდო გამგეობის წევრს ნ. კ. არგუთინსკის მოაწყოს ბაზრის გადატანის საქმე, როგორც საუკეთესოდ სცნობს.

◆ თავის მოკვლა. 10 სექტემბერს კიროჩნი ქუჩაზე ქვრივის პრეკვალსკის ბინაზე ქორწილი ყოფილა. პოდპორუჩიკს ნიკ. ხალასოვს ჯვარი დაუწერია მიხაილინის ქალზე ეკატერინეზე. ცეკვის შემდეგ, ნაშუალამევის 3 საათზე, ახალდ ჯვარდაწერილ ეკატერინეს მეორე და, 19 წლის ოლგა, მეორე ოთახში გასულა და რევოლვერით თავი მოუკლავს. მოკლულის გვამი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ არ იციან.

◆ სკოლა მისაქცეველში. დუშეთის მაზრის სოფელ მისაქცევლის მცხოვრებთ წარსულ კვირას საერთო ყრილობაზე დაუდგენიათ, გაიღოს ფული პირველ-დაწყებითი სკოლის დასაარსებლად. განაჩენით საზოგადოებამ ამოირჩია რამდენიმე კაცი და დაავალა, სთხოვონ წერა-კითხვის საზოგადოებას იშუამდგომლოს სკოლის დაარსებაზე და გაუწიოს პატრონობა და ხელმძღვანელობა სკოლას.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ედიტია ბ. ბიდანაშვილისა „გაჭირვებულ და დამშეულ ხალხზე“, რომელიც 8 სექტემბერს უნდა წაკითხულიყო, დეტორის დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, გადადო კვირისთვის, 13 სექტემბერს, 11 საათზე დილით. ბიდანეები იყიდება ძმათა ზუბალაშვილების სახადხო სახლის კასაში.

◆ სამოსამართლო პალატამ 7 სექტემბერს განიხილა საქმე ი. მაჭავარიანისა, რომელიც წიგნისთვის „ვინ არის ხალხის მტერი, ს.-დემოკრატები თუ ს.-ფედერალისტები“. სამართალში იყო მიცემული. პალატამ მაჭავარიანი გაამართლა.

◆ სოფლის მკითხავები და ექიმბაშები თავიანთი წამლობით ბევრს შეუგნებელ სოფლელს უდროოდ ასალმებენ ხოლმე წუთი-სოფელს. მაგ. კასპიდან გვატყობინებენ, რომ ამ სოფლის მცხოვრებს ტ ბაინდურაშვილს (ციებ-ცხელებით იყო ავად) სოფლის ექიმბაშის რჩევით დაულევია ესრედ წოდებული კიტრანას წვენი, მოწამლულა და ცოტას ხანს შემდეგ გარდაცვლილა.

◆ 9 სექტემბერს კადეტისა და საპიონრნი ქუჩის კუთხეში გუკას გუკასოვის მაღაზიაში ღამე შესულან ვიღაც ბოროტმოქმედნი, დაუკრიათ მძინარი გუკასოვი. შემდეგ საწოლისათვის ნავთი გადაუსხავთ და ცეცხლი წაუკიდებიათ. ცეცხლი შინაურის საშუალებით ჩაუქრიათ, ხოლო დაჭრილი საავადმყოფოში გაუგზავნიათ. ეჭვი ამ ბოროტმოქმედებაში მიუტანიათ მიკირტიჩ გუკასოვზე, დაჭრილის ძმაზე და დაუპატიმრებიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ ანგარიშის დროს ჩხუბი მოსვლიათ ორტოს ტერ-მარტიროსოვსა და მინას გეგელიანცს. პირველს გეგელიანცი დანით დაუჭრია საფეთქელსა და ხელში; შემდეგ თვითვე წასულა პოლიციაში მიისულა და განუცხადებია, რაც მოხდა. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო მარტიროსოვი დაპატიმრეს.

◆ 9 სექტემბერს დილით სადგურის ქუჩაზე დაპატიმრეს ვლადიმერ ცხვარაძე, რომელიც საგ.-ვთბერნატორიდან იყო გადასახლებული, მაგრამ დაბრუნებულა.

პროზა

(ესკიზები უბის წიგნიდან)

IV

ᲔᲡᲔᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ!

მე არავინა მყავს, მე არაფერი მაქვს. მიწისა და ცის შორის არის ჩემი ოთახი. მიწა ჩემს დღეში არა მყვარებია. მიწა, დედა-მიწა კი არა, ის უფერული მიწა, რომელიც კანს შეადგენს დედა-მიწისას, აბა, ვის უყვარს!? თუ მიწას გული არ გადაჰფენია, თუ ხეების მწვანე ფოთლებზე მზის სხივი არა თრთის, თუ წყალი არა სჩქეფს, ვის მოეწონება გატიტული, უფერული მიწა! ფერიც რომ არა აქვს ამ წყეულს. ფხვრიე, მშლატე, ყოველ ლაზათსა და შნოს მოკლებული მიწა ცხოველს რომ დაამსგავსო, ბაყაყსა ჰგავს! გატიტვლებული მიწა ყოველ დამნახველს უნებლიეთ სამოქმედოთ იწვევს; თითქოს მიწა იძახის, დაჰფარეთ ჩემი სიდუხჭირეო!

და ადამიანი ჰფარავს ყანით, ხეებით, სახლებით; რითაც გნებავთ, მაგრამ მიწას ჰფარავს ადამიანი, ბუნება. სამოსელს მოკლებული მიწა საზარია, ცა კი სხვაა! რაც უფრო მოკლებულია ყოველსავე ტანთსაცმელს, მით უფრო მშვენიერია! ცა ხომ არ არსებობს, მაგრამ რა მედარდება, მშვენიერი სანახაობა ხომ არის!

მე არავინა მყავს, მე არაფერი მაქვს!

ერთად-ერთი ქონება, ერთად-ერთი მეგობარი, მიჯნური ის პატარა ცის ნაგლეჯია, სარკმელში რომ ჩამოცქერის...

მთელი სახლი უეცრად დაზრიალდა.

აჰ, ღმერთო და ეშმაკო, თქვენს მადლს, იქნება ქვეყანა დაინგრეს!

სახლი ისეთის ძალით დაიწძრა, რომ ტუსაღი დაბარბაცდა. მიწა იძვრის!! ესეც თქვენ! აქ გამომამწყვდიეთ, მაგრამ არც თქვენ გეყრებათ სიკეთე. დაინგერი! დაინგერი!

საშინელი მტვრევა, ნგრევის ხმა მოისმა. კარები გაიღო. მთელი კედელი ჩამოიქცა. ტუსაღი გამოვარდა. არავინ დაჰხვედრია. ქუჩაში გამოვარდა პირდაპირ. ქალაქი დანგრეული, გაკამტვერებული იყო. ხალხი გაფთრებული მირბი-მორბოდა.

ესეც თქვენ! თქვენ ცხომ ჩემს მდგომარეობაში ხართ ეხლა. არავინა გყავთ, არაფერი გაქვთ.

„მიშველე“—მიაძახა პატარა ბავშვმა ტუსაღს. ბავშვი ნახევრად დანგრეულ სახლში საკვირველად დარჩენილიყო.

ტუსაღი აცოცდა კედელზე, ჩაიხუტა გულში ბავშვი და ნაზად ფრთხილად ჩამოიყვანა.

— ნუ გეშინიან!—ეუბნებოდა ბავშვს ტუსაღი—დედასაც მოგინახავ და მამასაც, ნუ გეშინია!

— მე მყავს, მე მაქვს—გახარებული ამბობდა ტუსაღი გულში.

— ყელისსაბმური გაუხსნა. თეთრი, წმინდა კანი გამოჩნდა ბავშვს. ბავშვი გაკვირვებით შეჰყურებდა ტუსაღს. ტუსაღმა რამდენჯერმე ნაზად შემოუსვა ხელი ბავშვის ყელს. ბავშვმა რაღაც სიშიში იგრძნო. ტუსაღმა ნელ-ნელა შეაკუმშა ყელზე შემოხვეული თითები.

— რას შვება? მეტკინა!..

ბავშვი გაიბერა, გაწითლდა, დოლბილი გადმოუვარდა, ენა გამოეყო.

— ესეც თქვენ!—დაიძახა ტუსაღმა და ბავშვი გადაადგა.—მე არავინა მყავს, მე არაფერი მაქვს—გაიფიქრა ტუსაღმა.

ამას ჰქვიან „გამხეცებული“ ადამიანი.

V

ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘ

მდინარეს გადუბურავს ტყის ნაბადი და ნაწყენი ბუტბუტებს: ანკარა რუთ დავიბადე თოვლსა და ყინულთა შორის, მწვანე ბალახს ვესხურებოდი წვეთებად, ისევ შევვერთდებოდი და თეთრ პატარა ქვებზე მიეჩხრიალებდი; შველი მკოცნიდა, მძიეებივით თევზები დასრიალებდნენ ჩემს მკერდზე, ჩემს გულში. რა კარგი დრო იყო! მერე კი ყოველი ნაწრეტი, ნარეცხი, ღვარი და წუმპე შემომიერთდა, ამამღვრიეს, გამსვარეს... არაფერია, აი ზღვაშიაც მოვხვდები, იქაც კარგია, ფართოდ გავიშლები... ეს სილა და ტლაპო მომშორდება.

როგორ მოვხვდი ამ ადგილას?—ფიქრობს ხიდათ გადებული მუხა.—მზის სხივები მეხვეოდნენ. მთვარე სანამ გულში, ფოთლებს შორის არ ჩამიძერებოდა, არა მშორდებოდა, არეს ჩრდილით ვფარვიდი, სიყვარულით შემომცქეროდა ქვეყანა, ბატონობას მაწვდიდა ხეობა. ეხლა ყოველი წირპლიანი მჯაბნის, შუა წელზე რომ დამადგებიან, მაშინ დაიწყებენ ხტუნვას—არ ენაღვლებათ რომ მტკიცეა, მტკიცე... მაგრამ მოვიდეს ერთი ნიაღვარი, გაყურებინებთ სეირს: შიგ შუაზე გადავტყდები, როცა შუაზე იქნება ვინმე წისქვილში საფქვავით მიმავალი, დაიყურყუმელავებს, მე კი გავსწევ ზღვისკენ...

წისქვილის ქვა ციბრუტივით ტრიალებს და უშვერად ილანძღება:

ვაი დედა, რა დროს მოესწარით! ფეხის მოკიდებას ვერავინ ჰბედავდა ჩვენს სალს კლდეზე, გრილოდა მუდამ, მთელი ჩვენი გვარეულება ხელუხლებელი იყო. ეხლა უყურეთ ამ ლაწირაკს, როგორ გვატრიალებს, როგორ გვფშვნის და გვტეხავს. ეს გლახაკი მარცვლებიც რომ არ იშლის და სეტყვასავით მოდის; ვფქვავთ, ვაკამტვერებთ, მაგრამ მაინც ჩნდება და ჩნდება. ჰუ, რა სიცხეა... მაგრამ არაფერია, ჩავძირავ მეც ქვევითკენ. შეჩერდება ბორბალი და დავესვენები მშვიდად მდინარის ძირში.

მთვარე დაჰყურებს წისქვილს და მორცხვად, პირს იბრუნებს. მიჯნური მშორდება და იცვლება. მეც ვიცვლები. კარგი არ იყო, როცა მხარი-მხარს მიდებული ერთმანერთს თავს ვევლებოდით მე და მიწა. ჩემს კოცნას ცეცხლის ფრქვევით უპასუხებდა. დანელდა გული. გამოგვერია ბაღარა და ვშორდებით, ვშორდებით ერთმანერთს... მოვა დრო და სიყვარულის ქსელი კიდევ შეგვნოჯავს...

მეწისქვილე, მოხუცი მეწისქვილე, ზის წისქვილის დერეფანში და ფეხს იბანს. აგონდება ჯვარის წერა. შავი ძარღვიანი გოგო, პატარა ბავშვი, ყანა და ვენახი, მტერ-მოყვარე, მერე კუბო, ტირილი... არაფერია, დიდია ღმერთი, იქ კიდევ შევხვდები მათ.

მოკაშკაშე მთვარე. მდინარე ტილიფებით დახურული. მაზე გადაგდებული ხიდი. წისქვილი ისლის სახურავით, დერეფანში ზის მეწისქვილე და ფეხს იბანს, ჰაერი გაჩერებულია.

ყველას რაღაცა იმედი აქვს.

VI

ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲝᲠᲘ

მეძინა და დამესიზმრა.

მივსუსტდი. დადუმდა ძარღვები. ვიგემე არარაობის სიმე. წარსდეგ ღვთის წინაშე.

— მფარველო ანგელოზო, რა სცოდა ამან, აბა სთქვი?

— წიგნებში არაფერი სწერია. გულთა მხილავი შენა ხარ, უფალო, და არა მე. მაგრამ ეს ყმაწვილი სარკეზე უფრო გულწრფელია, ყველაფერს თვითონ იტყვის.

— სთქვი!

— უფალო, შენ გულთა-მხილავი ხარ, უკვედ უწყი. მაგრამ რადგან მიბრძანე, ვინანიებ: შევქმენ შენს გარდა ღმერთი და თაყვანს ვცემდი მას. ჩავკარ სიძულვილით საგსემ ხანჯალი თვით მუცელში. ჩემთვის ყოველი დღე შაბათი იყო. დავაფურთხე და გავთელე ჩემთა წინაპართა საფლავნი. შეურაცვყავ, გავაუპატიურე სიონის ტრედი...

— კმარა, გეყოფა! გასწი ჯოჯოხეთში!

— მაგრამ მე მიყვარდა, უფალო, და, მაშასადამე, ვიტანჯებოდი. „ჟირთ-გასართველად“ გადავდიოდი შენს მცნებას.

— რას ამბობ?

— მიყვარდა და ვიტანჯებოდი, უფალო!

— რა?

— ვერ გაიგებ, უფალო, ამ ცნებას. შენ ყველგანა ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა. შენ შენს სახეს უცქერი ყველან ერთ-ერთ ელექტრონ ენტარებას, სხვაგან ჩამოვანია, არ... — ... ხედე, უფალო, როგორი ქვეყანაა.

— კარგია, ლამაზი... ხალხი მლოცულობს!

— არა, უფალო, დაუკვირდი როგორ ნაზის ხაზებით არის დახატული მთელი ბუნება. ლურჯი ცა ზურმუხტიდან გათლილ ქერსა ჰგავს, მიწა ხავერდით შემოსილა, აქაფებული რუ წინწკლებად კლდეებს ახკდება... იქ შემიძლიან ცხოვრება.

— კარგი ქვეყანაა... ხალხი მლოცულობს!

— აი, იქით გადიხედე, უფალო... როგორია?

— კარგი ქვეყანაა... ხალხი მლოცულობს!

— უფალო, ეს უფერული ცა, ნისლით სავსე ჰავა, ხელის-გულივით სწორი ქვეყანა, სიცივე მოგწონს?

— კარგი ქვეყანაა... ხალხი მლოცულობს.

— შენ მოგწონს, უფალო, სადაცა ხარ და რასაც აავსებ მადლითა შენითა; შენთვის სულ ეოთია სიცივე და სითბო, ლურჯი და რუხი, მაგრამ გადიხედე, უფალო, აღმოსავლეთისკენ.

— ნუ თავხედობ! იქ მხეცები არიან! რაღაც ცხოველებს თაყვანსა სცემენ. ვიცნობ ურწმუნოთა და უმგზავსთა. დაისჯებიან ცოდვისათვის.

— და რას იზამდი, უფალო, რომ იმ ქვეყნად დაგრჩეს მუდამ ცხოვრება.

— გაჩუდი!

— შენც ჩემსავით „ჟირთ-გასართველად“ შესცოდებდი შენსავე თაესა.

— გასწი უკანვე მიწად!

მეც ეს მინდოდა. გამომეღვიძა. ღმერთმაც ვერ მითხრა გადაჭრილი პასუხი. ჩემს სიყვარულსა და ჩემს სიძულვილს ვერავინ გაზომავს. **ნ. ლ.**

სპარსეთი

შაჰის აღმზრდელის დათხოვნა.

„ნოვ. ვრემია“-ს კორესპონდენტი სწერს, თუმცა სპარსეთის რეგენტი აზი-ულ-მულკი ირწმუნებოდა, რომ შაჰის აღმზრდელ სმირნოვს არ დავითხოვთო, მაგრამ ახალმა მთავრობამ საბოლოოდ დაითხოვა სმირნოვიცა და შაჰის ექიმი სადოვსკიცა (ესეც რუსია), ინგლისელი ექიმი ლიდლეი-კა დატოვა. რუსეთის წარმომადგენელმა სთხოვა ინგლისის ელჩს, ეცადეთ, რომ სმირნოვი და სადოვსკი დატოვონ თავთავის ადგილზეო. ინგლისის ელჩი დახმარებას დაჰპირდა.

ᲑᲐᲑᲘᲓᲔᲑᲘ.

„კავკაზი“-ის კორესპონდენტს თეირანის გზაზე ერთ სადგურზე შეჰხვედრია ბაბიდი, ბაბას სექტის მი-

---

სწორი, ან მახვილი, ან ბლაგვი და სხვა. მაგრამ ეს სრულიად არ არღვევს სამკუთხედის ზოგადს იდეაში წარმოდგენასა: პირიქით, ეს ფაქტი ამტკიცებს მას, რომ სამკუთხედს, ფორმალოლოგიურად მხოლოდ სამკუთხიანს და მეტს არაფერს, შეუძლია ფსიხოლოგიურად ამადაც გახდეს და იმადაც, სწორ კუთხიანადაც და მახვილკუთხიანადაც, თან სწორგვერდიანადაც და თანსწორფერდიანადაც, ასე რომ ეს ფსიხოლოგიური დაბრკოლება თავისთავად ვარდება.

უფრო ძნელი არის ონტოლოგიური დაბრკოლება. რეალიზმის თეორიის მიხედვით არსებობს არა მარტო ზოგადი ცხება, არამედ ზოგადი საგანიც; ხოლო საგანი იგი, ერთი და ზოგადი, იმყოფება მრავალს ცალკე მყოფს საგნებში როგორც ერთგვარი ელემენტი. მაგრამ აქ იბადება სიძნელე: რა სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეს ზოგადი საგანი, რომელიც ეკუთვნის დროის სხვადასხვა მომენტსა და ერთსა და იმავ დროსაც იმყოფება სივრცის სხვადასხვა ადგილას? ამ კითხვის გადაჭრა ანტოლოგიისაგან არის დამოკიდებული, რომელიც ასე თუ ისე გადასწყვეტს სივრცისა და დროის პრობლემასა. თუ მექანიურ-მატერიალისტური და მის დაგვარი მსოფლმხედველობა მივიღეთ, მაშინ, რასაკვირველია, ზემოდაყენებული კითხვა უარჰყოფით გადაიჭრის: შეუძლებელია ამ მსოფლმხედველობის მიხედვით წარმოვიდგინოთ ზოგადი საგანი, სხვადასხვა მომენტს მყოფი და სხვადასხვა ადგილს არსებული. ხოლო, თუ ხორცსხმული იდეალიზმის, ანუ კონკრეტი სპირიტუალიზმის მსოფლმხედველობა მივიღეთ, მაშინ სიძნელე ხსენებულ პრობლემის ადვილი ასახსნელი იქნება: შესაძლოა ამ მსოფლმხედველობით ისეთნაირ ვიაზროთ დრო და სივრცე, რომ ცალკე მყოფი მხარე საგანისა სრულიად არ სპობდეს მის სხვა მხარის სხვა საგნებთან შესახეულებულს იგივეობას. ჩემის აზრით, მექანიურ-მატერიალისტური მსოფლ-მხედველობა ვერ უძლებს ვერავითარს კრიტიკასა; ერთად-ერთი მსოფლ-მხედველობა, რომელიც ცოტათ თუ ბევრად აკმაყოფილებს უნივერსალურ გონების მოთხოვნილებას, კონკრეტი სპირიტუალიზმია. აქ უადგილოა ამ ფილოსოფიურის სისტემის განვითარება. განვიხილავ მხოლოდ, თუ როგორ განისაზღვრებიან ამ სისტემის მიხედვით სივრცისა და დროის მოვლენანი.

ნამდვილი რეალობა არის სუბსტანცია, ცხოველი მონადა: ფსიხიური ერთეული, უყოფელი და უკვეთელი. სუბსტანცია იგი არ არის გონებრივი განყენება, მატერიური ერთეული: პირიქით, იგი ცხოველი ძალაა, რომელიც მუდამ აქტში მხილდება; იგი ფსიხიური არსია, რომელიც თვითონ ჰქმნის ყოფასა. ხოლო თვითმომქმედი აქტში არ კვდება, და თვით არსი ყოფაში არ იკარგება, იგი თვითმცნობია, მაშასადამე, და თვითშეცნობა მისი ყოველთვის იგივეა. შიგნით იგი პოტენციაა, გარეგნათ აქტი; ხოლო პოტენცია იგი იდეალურია,—და თვითმცნობი არსი წინადვე ხედავს თავის აქტად ყოფას, თავის ყოფადდებასა. და ფსიხიური არსი, მსწრაფველი ყოფისადმი, წარმომდგენია ამა ყოფისა. **სწრაფვა და წარმო-დგენა,** ლეიბნიცის აზრით, შინაგანი მომენტია ყოველის მონადის სიცოცხლისა.

ეხლა ვიკითხოთ: არის თუ არა ასეთი რეალობა სივრცე? სრულებით არა: სუბსტანციალობა და აქტუალობა განუყოფელ არიან, სივრცე კი არავითარ აქტს არ ახდენს, იგი სრული პასსივობაა. ყოველგვარ გარეგან საგანთაგან აზრით გამოყოფილი სივრცე მხოლოდ განყენებული ფორმაა გარეგნობისა. სივრცე კი არა ჰყოფს საგნებს ცალ-ცალკე, არამედ თვითონ საგანთა ურთიერთმიქცევა ჰქმნის პირველში სივრცესა. გავარკვიოთ ეს აზრი. რას ნიშნავს სივრცეში მყოფობა? ეს ნიშნავს ადგილის დაჭერას, ანუ სივრცის ავსებას. ხოლო რაიმეს ავსება ერთგვარი აქტიური წინააღმდეგობაა: ის, რაც ადგილს იჭერს, არ უშვებს სხვას ამ ადგილში. ერთი სიტყვით, სივრცეში მყოფობა ყოველთვის აქტივობად იქცევა; ხოლო მასში მყოფნი ფსიხიურ მომქმედებად, ანუ, ლეიბნიცის სიტყვით, ცხოველ ცენტრებად. ეს ცხოველნი ცენტრნი, როგორც აღვნიშნეთ, მუდმივ ილტვიან, ისწრაფვიან ყოფისადმი, მაგრამ, როგორ შეიძლება ლტოლვა ან სწრაფვა, თუ წინადვე იდეალურ წარმოდგენა არა გაქვს მისი, რისადმიც ილტვი და ისწრაფვი? ცხოველ ცენტრებს, როგორც თვითშემცნობ არსთ, აქვთ ასეთი ძალა წარმოდგენისა: მათ წარმოუდგებათ ობიექტი ლტოლვისა და სწრაფვისა. ხოლო სწრაფვა და წარმო-დგენა შესაძლოა მაშინ, როცა წარმომდგენსა და წარმოსადგენს შუა მყარდება ცალიერი გარეგნობა მათს ურთიერთ მიქცევისათვის. სწორეთ ამ გარეგნობას წარმოადგენს სივრცე. ერთი მონადა ისწრაფვის მეორე მონადისადმი და ამ სწრაფვაში იგი მას წარმო-უდგება; ხოლო ამ წარმო-დგენაში მეორე მონადა, როგორც პირველის გარემყოფი, მას გარეთგან მოევლინება; სივრცე ამ წარმო-დგენაში მხოლოდ ფორმაა მეორე მონადის გარეგანი მოვლინებისა. ამრიგად, სივრცე კი არ ჰყოფს საგნებს ცალ-ცალკე, არამედ თვითონ საგანთა ურთიერთმიქცევა ჰქმნის პირველში სივრცესა და სივრციულს განცალკევებას. სივრცე გარეგანი განსაზღვრულებაა მონადისა,—და მის გარეშე მას არ აქვს არავითარი რეალობა.

ესევე ითქმის დროზედაც. როგორც აღვნიშნეთ, მონადა ცხოველი ძალაა, რომელიც აქტში მხილდება. ხოლო აქტი პროცესსია, ანუ ცხადება მონადის შინაგან მომენტების ყოფადდებისა. მონადა თვითმოქმედია და აქტში არ კვდება; იგი თვითარსია და ყოფაში არ იკარგება. იგი ამ ყოფადდებაში განიცდის შემდგომ მომენტებს და როგორც უცვლელი თვითშემცნობი თვის შეცნობაში არჩევს ამ მომენტებს ერთიმეორეში. გარნა გამოყოფა ერთი მომენტისა მეორისაგან შესაძლოა მაშინ, როცა გამომყოფელსა და გამოსაყოფელს შორის მყარდება ცალიერი შინაგანობა მათს ურთიერთმიქცევისათვის. სწორეთ ამ შინაგანობას წარმოადგენს დრო: იგი მხოლოდ ფორმაა მონადის სხვადასხვა მომენტების შინაგანი მოვლინებისა. ასე რომ, დრო კი არა ჰყოფს სულიერ სუბსტანციას განცდათა სხვადასხვა მომენტებად, არამედ თვითონ სულიერი სუბსტანცია, განმცდელი თავის არსების თვისგნით ყოფადდებისა, ჰქმნის პირველში დროსა და მის შემდგომ თანდათანობას. დრო შინაგანი განსაზღვრულებაა მონადისა. ამ სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სივრცე და დრო კონკრეტ სპირიტუალიზმის მიხედვით, რომლის სისტემის განსამტკიცებლად ამდენი შეჰქმნა ლეიბნიცის მძლავრმა გენიამა.

ასეთი წარმოდგენა სივრცისა და დროისა, რასაკვირველია, ადვილად ხდის ხსენებული პრობლემის სიძნელის ახსნასა: ჩვენ შეგვიძლია იდეად ავიყვანოთ ზოგადი საგანი, სხვა-დასხვა დროს მყოფი და სხვა-და-სხვა ადგილს არსებული. სინამდვილე შესდგება მრავალ მონადათაგან, მრავალ ცხოველ ცენტრებითგან. მათში არსებობს მუდმივი რეალური ურთიერთ მიქცევა: სრაფვა და წარმოდგენა. ხოლო რეალური ურთიერთობა მათ შორის შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა მათ რაიმე აერთებთ ან რაიმეში ერთდებიან. ამ გაერთებას კი თვითონ ისინი ვერ წარმოშობენ: ურთიერთ მიმქცევნი ისინი იმ თავითვე განსაზღვრული არიან. მაშ, რითა და რაში ერთდებიან მონადები? საქმე იმაშია, რომ ისინი შემცველობით ერთიდა იგივენი არ არიან: ერთი უფრო შემცველია, ვიდრე მეორე. მსოფლიო წარმოადგენს მთელს სისტემას მონადებისას, სადაც ერთი მონადა ორგანიულ შემდგომია მეორე უფრო შემცველ მონადისა, მეორე—მესამისა, მესამე—მეოთხისა,—და ასე, ვიდრე უნივერსალი სხეული შეიცავდეს ყველა მონადათა. ფიგურალურ რომ გამოვსახოთ, მსოფლიო ერთი ყოვლადი რკალია, რომელიც შეიცავს მრავალს შემდგომ და შემდგომ რკალსა. ხოლო ერთი რკალი არა თუ შეიცავს მეორე რკალსა, იგი ხშირად გადასჭრის ხოლმე სხვა რკალსა,—და ეს ნაჭერი კერძოთა და ცალკე გვეჩვენება. დაუმატეთ ამას ისიც, რომ მსოფლიოს ყოფა გა-ყოფილია, და დარკალული არსებობა უთუოდ დაყოფილ დაგესახებათ. ყოველი რკალი ყოფისა ზოგადიც არის და ერთეულიც: ზოგადი იმდენათ, რამდენათ იგი მის შემდგომ რკალებს შეიცავს; ერთეული იმდენათ, რამდენათ იგი ერთია და განუმეორებელი. ამ მხრივ ზოგადსა და ინდივიდუალს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს: ზოგადი ისეთივე ერთეულია, როგორიც ინდივიდუალი, მათი გარჩევა მხოლოდ ამ სახისაა: ზოგადი არის მრავალ-შემცველი ინდივიდუალობა, კერძო ინდივიდუალობა კი მისი შემდგომი უკვეთილი წევრი. მაგალითად, კაცობრიობა მრავალ-შემცველი ინდივიდუალობაა, ხოლო ეროვნება მისი ორგანიულ შემდგომი არსი. ზევითაც შეგვიძლია ამ პროცესსის გაფართოება და ქვეითაც ძალგვიძს მისი დავიწროება: კაცობრიობას, მაგალითად, ეხურვის მაღლა ორგანიული სამეფო, როგორც მისი შემცველი რკალი; ეროვნების ქვეშ შედის ადამიანი, როგორც მისი ორგანიულ შემდგომი ინდივიდი. და ესე ვიდრე უსაზღვროებამდე. ზოგადი რთული მთელია, ინდივიდუალი მისი ნაწილი; ორივენი კი ერთეულნი, განუმეორებელნი არიან: კაცობრიობა ერთია და არა ბევრი, ქართველობა ერთია და არა მრავალი. ამისათვის ონტოლოგიურად ზოგადი ისეთივე რეალობაა, როგორიც ინდივიდუალი. მაშასადამე, ზოგად საგანთა და მოვლენათა შორის ეროვნებაც **ონტოლოგიურ რეალობას** წარმოადგენს. ასეთია თეორია ონტოლოგიურის რეალიზმისა, რომლის პირველი მკვეთრი და მნათი სხივი პლატონი ზეაცურმა ფილოსოფიურ ინტუიციამ მსოფლიო ახროვნებაში შეამუქა.

გრიგოლ რობაქიძე.

(შემდეგი იქნება)

მდევარი, და დიდ ხანს უსაუბრნია მასთან. ბაბიდი სადგურის უფროსი ყოფილა.

— აქ მოწყენით იქნებით?

— რათა, რათ ვიქნები მოწყენით? განა ბევრი მინდა? მეცა მაქვს საჭმელი და ტანთ-საცმელი და ჩემ ცოლშვილსაც და მე მეტიც არა მინდა რა. კაცი ცოტას უნდა სჯერდებოდეს. ვინც სარჩოს აგროვებს, ის ლუკმას უპრის სხვებსა.

— თქვენ ბაბიდი ხართ?

— დიახ,—მიპასუხა სპარსელმა და თან აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ყურს ხომ არივინ გვიგდებსო.

— განა ეს სექტა ვერ გააქრეს სპარსეთში ათას დევნითა, შევიწროებითა და წამებითა?

— არა თუ არ გაქრა, პირიქით ბოლოს დროს ძლიერაც გავრცელდა. ჩვენი მოძღვრებას თან და თან ემატება მიმდევრები. მთელი მაზანდერანი და გილანი, ნამეტნავად სოფლები სავსეა ბაბიდებით. დიდ ქალაქებშიაც ცოტა არაა ბაბიდი. ყაზვინშიაც მეტად ბლომად არიან. ჩვენები. ზენჯანშიაც გვაქვს პატარა სკოლა, აქაც მრავლად არიან ჩვენები...

— რაში მდგომარეობს თქვენი მოძღვრება და რით განსხვავდება იგი მუსულმანთა მოძღვრებისგან.

— დიდად განსხვავდება, თუმცა-კი ჩვენ თავს მაინც კიდევ მუსულმანებად ვთვლით. მაგრამ ჩვენ იმდენად გარეგნობით არა ვართ მუსულმანები, როგორც სულით. მაგალითად, ჩვენთვის სულ ერთია, საით მხარესაც უნდა ილოცოს კაცმა: აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ, თუ სამხრეთისკენ. ღმერთი ყველგანაა, ნამდვილ მუსულმანებს-კი ეს არ ესმისო; მათ ჰგონიათ, რომ ღმერთი მხოლოდ ერთ ადგილასაა: იქ სადაც მზე ამოდისო.

ამას გარდა, როდესაც ქმარი სადმე სხვაგან მიდის და იკარგება, მუსულმანთა კანონთ ცოლს მხოლოდ 7 წლის შემდეგ შეუძლიან გათხოვება, ჩვენ-კი 2 წლის შემდეგვე ვაძლევთ გათხოვების ნებას. მართლაც და დედაკაცისა რა ბრალია, თუ იმისი ქმარი დაიკარგა სადმე?... საწყალი ცოლი ქრმის მოლოდინში თან და თან ჰყიდის თავის ქონებას და ბოლოს გლახად იქცევა. მუსულმანთა კანონით, ცოლმა მოწყალებით უნდა ირჩინოს თავი და 7 წლამდე არ შეირთოს სხვა ქმარი. აი ამისთვისაა კარგი და სასარგებლო ჩვენი კანონი. ჩვენი ყველა წესის გაუმჯობესობას ვცდილობთ და არა დროს არ დავაწესებთ შეუცვლელ საუკუნო კანონებს. პირიქით, თუ ჩვენა ვხედავთ, რომ ჩვენს კანონს გამოცვლა სჭირდება, ჩვენ ვცდით მას და სულაც არ გვეშინიან, რომ ამით ჩვენის მიმდევრების სარწმუნოებრივ გრძნობას შევლახავთ. ჩვენ ვიცით, რომ ღვთისთვის ყველაზე უმთავრესი ისაა, რომ ადამიანები მაყოფილნი და კეთილნი იყვნენ, —და ეს შეუდარებლად მაღლა სდგას გარეგანულ წესების შესრულებასა და მოყვასთადმი სეძულვილზე.

ბევრნი უშლიდნენ ხელს ჩვენის მოძღვრების გავრცელებას: ნასრედინი, მუზაფერი-ედინი და მამედალი ყველანი გვდევნიდნენ. ეხლა ჩვენ დიდი იმედი გვაქვს მომავლისა. წინად თითონ სიტყვა „ბაბიდის“ თქმაც-კი დიდ დანაშაულად ითვლებოდა, ეხლა-კი ცოტა არ იყოს, მეტი თავისუფლება ვიგრძენით, თუმცა-კი დღემდე ძნელად თუ ვინმე ჩვენგანი გამოაცხადებს თავის თავს ბაბიდად.

— თქვენ რომ არ გეშინიანთ.

— მე მოხუცებული ვარ და სიკვდილისა არ მეშინიან. სულ ერთია ცალი ფეხი სამარეში მიდგა. სულ სხვაა ახალგაზდა. ჩვენ ერთბაშად როდი ვიჩენთ ჩვენს მოძღვრებას და თუ საშიშია სულაც ვმალავთ. ახალგაზდა კაცი უნდა გაუფთხილდეს თავის სიცოცხლეს, რომ ჩვენს მოძღვრებას გამოადგეს და მეტი სარგებლობა მოუტანოს.

— განა თქვენი მოკვლა ეგეთი ადვილია?

— ყველაფერს უნდა ელოდეს კაცი. მეტად ბევრი ბაბიდი დაიღუპა. აი ეხლა ზილი-სულთანი იმიტომ არ შემოუშვით, რომ იგი დიდი მტერია ჩვენი. იგი არ ინდობდა ბაბიდებს და ჩვენს სარწმუნოებას თავისუფლებას არ მიანიჭებს, თუ რომ შაჰის ტახტს ჩაიგდებს ხელში. ჩვენ არა დროს არ მოვითმენთ, რომ იგი ჩვენი შაჰი გახდეს.

— თქვენი სარწმუნოება ძლიერაა ცნობილი ევროპაში და ბევრი წიგნი დაიწერა მასზე?

— დიახ... ყაზვინში არსებობს ბაბიდების საიკუმლო სკოლა, რომელშიაც ინგლისელები ცოლი და ქმარი—მხნედ მუშაობენ და თან ქადაგებენ... ბაბიდები ძლიერ მისდევენ სწავლას. ჩვენ არა ვსვამთ არაყს, არ ვეწევით თამბაქოს, ერთ ცოლზე მეტს არ ვირთავთ, უბრალოდ ვცხოვრობთ და მთელის ჩვენის ძალითა და ღონით ვცდილობთ ჩვენს მოყვასს დავეხმაროთ... ჩვენ სულაც არა ვცდილობთ ჩვენის სარწმუნოების გავრცელებას, მისი სიმართლე იმდენად ცხადია, რომ მარტო ბრმა თუ ვერ დაინახავს...

რუსეთი

✦ სადგურ მიასზე თავდასხმა. დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ 2 აგვისტოს რამდენიმე ბოროტგაზრახველი თავს დაეცა სადგურ მიასს. „გოლ. მოსკ.“ ამის შესახებ დამატებით ცნობებს გადმოგვცემს. 25 გვისტოს საღამოთი სადგურ მიასზე მიასსის ქარხნიდან კარგად ბლომა ფული მოიტანეს. რადგანაც მატარებელი ჯერ არ მოსულიყო, ამიტომ ფული სადგურის ფოსტის განყოფილებაში მოათავსეს. ფოსტის განყოფილებაში ამ ფულის გარდა სხვა ფულიც იყო. ფულს ფარაულობდნენ დარაჯები. ნაშუაღამევის ასე სამ საათზე სადგურზე 30 შეიარაღებული კაცი გაჩნდა. მათ ხელად რამდენიმე კაცი საყარაულოდ დააყენეს, დანარჩენები ფოსტის განყოფილებაში შევიდნენ. ბოროტგანზრახველებმა დარაჯებს უბრძანეს „ხელები მაღლა“! დარაჯები არ დაიბნენ და ბოროტ-განზრახველებს სროლით უპასუხეს. ბოროტგანზრახველებმა ყუმბარა გადაადგეს. ყუმბარამ მოჰკლა 2, დასჭრა 11 დარაჯი. ბოროტგანზრახველებისგან არავინ დაშავებულა. ამის შემდეგ ბოროტგანზრახველები სადგურის კასისკენ გაემართნენ. აქ ბოროტგანზრახველებს და ჯანდარმებს შეტაკება მოუვიდათ. ბოროტგანზრახველებმა მოჰკლეს სადგურის უფროსის თანაშემწე და ორი მოსამსახურე, გასტეხეს კასა, ამოიღეს ფული და სადგური მიატოვეს. სადგურზე ამ დროს საქონლის მატარებელი იდგა, მატარებელს მიუსვეს ორთქლმავალი, ჩასხდნენ შიგ და წავიდნენ. მალე ორთქლმავალიდან სადგურ ტუროგიანის ახლო ჩამოვიდნენ, გაეფუჭეს ტელეგრაფის მავთულები, და თითონ ახლო ტყეს შეაფარეს თავი.

✦ ებრაელების გაძევება პეტერბურგიდან. პეტერბურგის გრადონაჩალნიკს ბრძანება გაუცია, 24 საათის განმავლობაში გააძევეთ პეტერბურგიდან ის ებრაელი ბეპია-ქალები და კბილ ის ექიმები, რომლებიც საავადმყოფოებში არ მუშაობენ.

✦ „ტერორისტი“. პეტერბურგში ხმა გავრცელდა, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ა. ვ. კამინსკიმ უკიდურეს მემარჯვენეების სამხედრო ორგანიზაციისაგან წერილი მიიღო. მემარჯვენეები კამინსკის ატყობინებენ, სიკვდილით დასჯა გადაგიწყვიტეთ და მალე მოვიყვანთ სისრულეშიო. კამინსკი სარწმუნოებრივ საქმეების შესახებ კომისიის თავმჯდომარეა, მან თავგამოდებით დაიცვა სარწმუნოების თავისუფლების კანონპროექტი, მიიღო თუ არა სახელმწიფო სათათბიროს ეს კანონპროექტი, მემარჯვენეები მაშინვე დაეშუქრნენ კამინსკის და როგორც სჩანს, ალარ ხუმრობენ!

✦ ქალები სახელმწიფო სამსახურში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს ბრძანება დაუგზავნა. გუბერნატორებმა სამინისტროს უნდა შეატყობინონ, სხვა და სხვა საზოგადოებებში რამდენი ქალი მუშაობს, რა განათლება აქვთ მიღებული და სხვა. როგორც ამბობენ ამას კავშირი უნდა ჰქონდეს სამინისტროს განზრახვასთან, რომ ქალებს სახელმწიფო სამსახურის უფლება მიეცეთ.

✦ რკინის გზის მოსამსახურეების დათხოვნა. სამარის რკინის გზიდან 100 მოსამსახურე დაუთხოვნიათ. ამათ აბრალებენ უბილეთო მგზავრების გადაყვანგადმოყვანას.

✦ ოქტომბრისტების კრება. როგორც მკითხველს მოეხსენება ამ მოკლე ხანში ოქტომბრისტების პარტიული კრება უნდა მოხდეს. „რუსკ. ვედ.“-ის სიტყვით ოქტომბრისტების ცენტრალური კომიტეტი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილა. პროვინციალურ განყოფილებების უმრავლესობას სხვა და სხვა მიზეზებით უარი განუცხადებიათ, კრებაზე დელეგატებს არ გამოვგზავნითო. ამას კიდევ არა უშავს რა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ პროვინციალურ განყოფილებების უმრავლესობა მარტო ქაღალდზე არსებობენ თურმე.

✦ უნივერსიტეტებში. საერო განათლების მინისტრს გადაუწყვეტია სახელმწიფო ეგზამენები გაზაფხულზე მოახდინონ ხოლმე. ამ ჟამად სახელმწიფო ეგზამენებს მთელი წლის განმავლობაში ახდენენ.

✦ ეშმაკები და მღვდელ-მონოზანი ილიოდორე. გაზეთ „ცარიცინსკ. ვესტ.“-ში შემდეგი წერილია დაბეჭდილი: 15 აგვისტოს, ღვთის მშობლის მიძინების დღეს, ადგილობრივ ეკლესიაში მწირველი იყო „ცნობილი“ მღვდელ-მონოზანი ილიოდორე. წირვის გათავების შემდეგ ეკლესიაში ერთმა ქალმა ხმა მაღლა ყვირილი დაიწყო: „აქ არის, აი ის!“ გამოირკვა, რომ ქალი სულით ავადმყოფი ყოფილიყო. ილიოდორემ ქალის მორჩენა განიზრახა. ქალს უბრძანა დაიჩოქეო და დაიწყო რაღაც ლოცვების კითხვა. ლოცვების კითხვის შემდეგ ილიოდორე ქალს შეეკითხა: ვინა ხარ შენ?

— გრიგორი, უპასუხა ქალმა.

— ეშმაკო გამოდი, წამოიყვარა ილიოდორემ.

— არ გამოვალ!

— მე გიბრძანებ გამოხვიდე. აკოცე წმიდა ჯვარს!

— არ გამოვალ, ჩემი ნებაა

ილიოდორემ საწყალ ქალს ნაკურთხი წყალი დაასხა თავზე და თან კისერს უზელავდა. მართლა კაცს თოკის ნერვები უნდა ჰქონოდა, რომ ილიოდორეს და სულით ავადმყოფ ქალის ლაპარაკი მოესმინა. ვერ გაიგებდა კაცი, რომელი უფრო ძალიან ჰყვიროდა, სულით ავადმყოფი ქალი, თუ მღვდელ-მონოზანი ილიოდორე. ილიოდორემ იქამდის მიიყვანა ქალი, რომ ამ უკანასკნელს გული წაუვიდა. მღვდელ-მონოზან ილიოდორეს სხვა დროსაც უცდია ეშმაკების განდევნა, მაგრამ ამაოდ.

✦ სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, ხარკოვში 2, უფაში 3, რეველში 1, რიგაში 2, მოსკოვში 1, ვარშავაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარბინში 1, ვლადივოსტოკში 1, ოდესაში 1, სევასტოპოლში 2, ეკატერინოსლავში 4 კაცი.

აფთარი (მგელ-კაცა) ეჩმიაძინის მაზრაში

ამ ათი წლის წინად ადგილობრივ და სხვა გაზეთებში ბევრი იწერებოდა ერთ მხეცზე, რომელიც იმ ხანად ეჩმიაძინის მაზრაში გაჩნდა და, რომელიც ბავშვებს იტაცებდა. ბოლოს გამოირკვა, რომ ეს მხეცი აფთარი (მგელ-კაცა) ყოფილიყო. 1894 წელს, 15 ივნისს, მცხოვრებლებმა თავიანთ თვალით ნახეს, თუ როგორ მოიტაცა აფთარმა 10 წლის ბავშვი. 15 ივნისს ღამე, აფთარი სოფელ ხიზნაუზში მიიპარა და სახლის სახურავიდან ბავშვი მოიტაცა. მესამე დღეს ასეთივე ამბავი განმეორდა. მცხოვრებლებმა სასტიკი ზომები მიიღეს. იკრიბებოდნენ მთელი სოფლებით და ჯარის დახმარებით აფთარს ეძებდნენ. მაგრამ ამაოდ. ხერხიანი მხეცი დროებით იმალებოდა და შემდეგ უცბად კვლავ ჩნდებოდა.

ამ დღეებში სოფელ იშირლუს მცხოვრებმა ქურთმა ჭირან ალმადოვმა მოჰკლა ერთი აფთარი. საქმე ასე მოხდა. აბრანში გაჩნდა რაღაც ცხოველი. მცხოვრებთ ეგონათ, რომ მგელთან ჰქონდათ საქმე. მალე გამოირკვა, რომ ეს მხეცი აფთარი ყოფილა. აფთარი დაეცა სოფელ მოლიკასუმს მცხოვრებ გევორქოს, ხალხმა როგორც იყო გადაარჩინა გევორქო